„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლეთა შეუფერხებელი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ივლისის N371 დადგენილებით განსაზღვრული სამთავრობო კომისიის სხდომის

ოქმი N4

9 ოქტომბერი 2018 წელი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

დღის წესრიგი

საკითხი -1.

სალიკვიდაციო ბალანსის დასრულების თაობაზე.

კომისიის წევრმა, ბ-ნ. ბესარიონ ბუჩუკურმა წარმოადგინა ინფორმაცია, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლეთა შეუფერხებელი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ივლისის N371 დადგენილებით განსაზღვრული სამთავრობო კომისიის სხდომის N1 ოქმით დაფიქსირებული გადაწყვეტილების თანახმად, მიმდინარე წლის 10 სექტემბრისათვის დასრულდა ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სალიკვიდაციო ბალანსის მომზადება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, **კომისიის წევრმა ქ-ნ. თია მელაძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ სალიკვიდაციო ბალანსში არ ასახულა მიმდინარე პერიოდის გარკვეული კრედიტორული დავალიანებები, რომელთა შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა მოხდება საქართველოს მთავრობის N371 დადგენილებით განსაზღვრული სამთავრობო კომისიის უახლოეს სხდომაზე, რათა კომისიის გადაწყვეტილებით, შესაბამის უფლებამონაცვლე პირებს მიეცეთ უფლება, უზრუნველყონ ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სალიკვიდაციო ბალანსში აუსახავი მიმდინარე კრედიტორული დავალიანებების ანაზღაურება.

ბ-ნ. ბესარიონ ბუჩუკურმა ქ-ნ. თია მელაძის დასმულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მონაცემები, რომლებიც არ მოხვდა და ვერ მოხვდებოდა აღნიშნულ სალიკვიდაციო ბალანსში, შინაარსიდან გამოდინარე იანგარიშება თვის ბოლოს და კონკრეტული თარიღისთვის მისი დაანგარიშება ვერ მოხდებოდა, შესაბამისად, მთლიანი ხარჯის აღიარება (სალიკვიდაციო ბალანსში აუსახავი მიმდინარე კრედიტორული დავალიანებები) უნდა მოახდინოს უფლებამონაცვლემ.

გადაწყვეტილება: ცნობად იქნეს მიღებული, რომ მიმდინარე წლის 10 სექტემბერს დასრულდა ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სალიკვიდაციო ბალანსის მომზადება, ხოლო აღნიშნულის შედეგების კომისიის წევრებისათვის წარდგენა განხორციელდეს N371 დადგენილებით განსაზღვრული სამთავრობო კომისიის უახლოეს სხდომაზე.

საკითხი - 2.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ერთობლივი პროექტის - „ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა სამართლებრივი დაცვა საქართველოში" დასრულების თაობაზე.

კომისიის წევრმა ბ-ნ. ბესარიონ ბუჩუკურმა წარმოადგინა ინფორმაცია საგრანტო პროექტის - „ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა სამართლებრივი დაცვა საქართველოში" შესახებ, რომლის სამართალმემკვიდრე დღეის მდგომარეობით არ არის განსაზღვრული.

გრანტის გამცემი მხარის მიერ დაფინანსება შეჩერებულია მიმდინარე წლის 31 აგვისტოდან. მათი თანხმობით, ანაზღაურებას ექვემდებარება 2018 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით გაწეული აქტივობების ხარჯები და პროექტში ჩართულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება.

გადაწყვეტილება:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიეცეს უფლება საგრანტო პროექტის - „ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა სამართლებრივი დაცვა საქართველოში" ფარგლებში აანაზღაუროს მიმდინარე წლის 31 აგვისტოს ჩათვლით პროექტის ფარგლებში აქტივობებზე გაწეული ხარჯები და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება. დარჩენილი თანხა დაუბრუნდეს გრანტის გამცემს - გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს.

საკითხი - 3.

იმ მატერიალურ ფასეულობათა ნუსხის განსაზღვრის თაობაზე, რომლებიც გადაეცემა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლეთა შეუფერხებელი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ივლისის N371 დადგენილების მე-2 მუხლის გ. პუნქტის შესაბამისად, **კომისიის წევრმა ბ-ნ. ნოდარ ყოჩიშვილმა** წარმოადგინა იმ მატერიალურ ფასეულობათა ნუსხა, რომლებიც გადაეცემა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

კომისიამ დაადგინა:

გადაეცეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შემდეგი ქონება:

შეძენის თარიღი	მატერიალური ფასეულობების დასახელება	ტექნიკური მახასიათებელი	სერიული ნომერი	საინვენტარო ნომერი ახალი	ზომის ერთეული	პირველადი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
	კომპიუტერის კომპლექტი	პროცესორი - intel E5500		08-1103	კომპ	930.00	0.00
		მონიტორი- PROVIEW w900					
18-02-14	კომპიუტერის კომპლექტი	პროცესორი - FUJITSU INTEL Q8300	ABN:K1003-V400-508	2122-1283	კომპ	877.15	175.43
		მონიტორი- FUJITSU LL3200T	YV3h085027	2210-578		289	289
19-07-17	კომპიუტერის კომპლექტი	პროცესორი - HP AMD 7600B	CZC60991MP	2122-4381	კომპ	1137.00	909.60
		მონიტორი - HP P222	CNK6020XSN				
	კომპიუტერის კომპლექტი	პროცესორი - intel dual core		08-1109	კომპ	1285	0.00
		მონიტორი - HP I901	CNC936RN18	10-1266		281.35	281.35
02-08-17	კომპიუტერის კომპლექტი	პროცესორი - INTEL I7		2122-4456	კომპ	2624.32	2099.46
		მონიტორი- PHILIPS 246V5LHAB	AU1A1312011661				
	საბეჭდი კომბაინი	HP MFP1214	CNJ8F3Q1ZH	2210-395	ცალი	490.00	490.00
17-12-14	საბეჭდი კომბაინი	HP 5225	CNGTGD2127	2122-1526	ცალი	3506.00	701.20
	საბეჭდი კომბაინი	HP M134	VNC8801191	2210-3816	ცალი	493.93	493.93
	საბეჭდი კომბაინი	HP M134	VNC6601959	2210-3816	ცალი	493.93	493.93
	ლეპტოპი	HP 4540	A1018C1100	08-3055	ცალი	789.00	0.00
	მაცივარი	Hisense	6943619734079	2220-4367	ცალი	320.00	320.00
	მაგიდის სანათი	DSL-502		10-540	ცალი	30.00	30.00
	მაგიდის სანათი	DSL-502		10-540	ცალი	30.00	30.00
	ასაკონძი მანქანა პლასტმასის ზამბარით			10-283	ცალი	364.00	364.00
18-02-14	ფოტოაპარატი	Nikon P500	31105605	2122-1288	ცალი	758.00	545.76
	მუდმივი დენის წყარო	Elec	800D2014093519	2240-3839	ცალი	117.99	117.99
	მუდმივი დენის წყარო	INTEX	2101869221132903418	10-301	ცალი	111.00	111.00
	ბაფთა	50მ		10-506	ცალი	120.00	120.00
	ლეპტოპი	TOSHIBA C870-D8W	9C100056R	08-1366	ცალი	1274.63	0.00
	საბეჭდი კომბაინი	CANON MF3228	MJW06183	08-2811	ცალი	445.00	0.00
	სავარძელი ტყავის (გორგოლაჭიანი)			2220-651	ცალი	370.00	370.00

ქონების გადაცემაზე ხელმომწერ პირად განისაზღვროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ბ-ნ. ნოდარ ყოჩიშვილი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამუშაოს დიდი მოცულობიდან გამომდინარე, კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლეთა შეუფერხებელი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ივლისის N371 დადგენილებით განსაზღვრული სამთავრობო კომისიის მუშაობის ვადად, ნაცვლად აღნიშნული კომისიის N2 ოქმში დაფიქსირებული თარიღისა (2018 წლის 12 ოქტომბერი) განისაზღვროს 2018 წლის 12 დეკემბერი.

სამთავრობო კომისიის
თავმჯდომარე — გიორგი წოწკოლაური

სამთავრობო კომისიის
მდივანი — ჯუნა გერსამია